პროექტი

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს მთავრობისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეკომენდაციის თაობაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ და მისი ფაკულტატური ოქმი მიღებულ იქნა 2006 წლის 13 დეკემბერს. აღნიშნულ კონვენციას და ოქმს საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 10 ივლისს.

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის N1888-რს დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, თუმცა, იმავდროულად არ მოხდა აღნიშნული კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარებული დღეის მდგომარეობითაც არ არის.

ფაკულტატური ოქმი მიზნად ისახავს კონვენციის განხორციელების მხარდაჭერას, მონიტორინგს და ითვალისწინებს ორ პროცედურას:

1. უფლებების აღდგენის მიზნით ინდივიდუალური საჩივრების განხილვა (საჩივარს წევრ სახელმწიფოში გავლილი უნდა ჰქონდეს გასაჩივრების ყველა სამართლებრივი ეტაპი) და რეკომენდაციების მიღება;
2. კონვენციის უხეში და სისტემატური დარღვევების საიმედო მტკიცებულების გამოძიება და რეკომენდაციების მიღება.

ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებს შეუქმნის ინდივიდუალური ადვოკატირების ეფექტურ მექანიზმებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციისთვის აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს, იმავდროულად, უზრუნველყოფს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ უნივერსალური

პერიოდული მიმოხილვის (UPR) რეკომენდაციებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის იმიჯის ამაღლებას და იქნება წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე.

საქართველომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირებით განაცხადა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო ინტეგრაცია და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ პრინციპის განსახორციელებლად ყველაზე თანმიმდევრული ქმედითი ნაბიჯი კი სწორედ აღნიშნული კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება იქნება.

იმისათვის, რომ საქართველომ კიდევ უფრო მეტად ეფექტიანად შეუწყოს ხელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაციასა და კონვენციით მოცემული პრინციპებისა და ღირებულებების სრულფასოვან იმპლემენტაციას,

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 193-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს მთავრობას მიეცეს რეკომენდაცია, დაიწყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე

თბილისი,

2019 წლის ----------

N----------